ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საინფორმაციო გამოცემა №1 (59) იანვარი, 2023 წელი

იყო ღიმილი, ტაში, ოვაციია...

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის ცენტრში საახალწლო კონცერტი გაიმართა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **ქრისტინა კობახიძე** და რწმუნებულის მოადგილე – **ლევან ზალკალიანი** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

საახალწლო კონცერტში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მუსიკალური კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები, აგრეთვე მაყურებლის წინაშე წარსდგა ცნობილი საესტრადო მომღერალი მარიამ ელიეშვილი.

ღონისძიებაზე დამსწრე ბავშვებს ცაგერის მუნიციპალიტეტისაგან, სიმბოლური საჩუქრები დაურიგდათ.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო-სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო და ახალგაზრდობის ცენტრი.

ქრისტეს მახარობელნი ვართ

ლეჩხუმში, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად, „ალილოს“ საღღესასწაულო მსვლელობა მიმდინარეობდა.

მსვლელობას **მამა გიორგი** (მდივანი) უძღვებოდა.

ადგილობრივ მრევლთან ერთად „ალილოს“ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ალუდა თუთიანი**, მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მოადგილე **მარიკა კოპალიანი** შეუერთდნენ საშობაო საჩუქრებით.

შეგროვილი შემოწირულობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახებს გაუნაწილდათ.

მათ მცირედიც ახალისებთ

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ლევან ზალკალიანმა**, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, **ჭაბუკი ჭაბუკიანთან** და თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, **რეზო ხეცურიანთან** ერთად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახებს საახალწლო ნობათი გადასცა.

მერიის მიერ შეძენილ საჩუქრებთან ერთად ოჯახებს გადაეცათ საქართველოს „წითელი ჯვრის საზოგადოების“ მიერ გამოგზავნილი საჩუქრები.

მხარის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ამ ოჯახებს განსაკუთრებით მიულოცეს ძველით ახალი წელი, ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატება უსურვეს!

14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა

14 იანვარი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნისა და ჩვენი ეროვნული სიმბოლოს დღეა!

ვულოცავთ ამ დიდებულ დღეს სრულიად საქართველოს!

„აფხაზინტერკონტის“ საკოორდინაციო შეხვედრა ცაგერში

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბის – ფონდი „აფხაზინტერკონტის“ ორგანიზებით ცაგერის მუნიციპალიტეტში გაიმართა რეგიონული საკოორდინაციო შეხვედრა.

შეხვედრის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუდმივი ინფორმირებულობა, სექტორთა შორის თანამშრომლობის და ხელსაყრელი გარემოს (განვითარების შესაძლებლობები, არსებული გამომწვევები, დაფინანსების შესაძლებლობები) შექმნის ხელშეწყობა; მიმდინარე საქმიანობების გაცნობა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, დაფინანსებების მოპოვების შესაძლებლობებზე ინფორმირება, თანამშრომლობის პერსპექტივებზე მსჯელობა;

შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე აქტივობების მოკლე ანგარიშს, იმსჯელეს თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

შეხვედრას დაესწრნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ალუდა თუთისანი**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სამოქალაქო კლუბების, მედიის, საჯარო სკოლების (სამოქალაქო განათლების პედაგოგები) წარმომადგენლები, ახალგაზრდები და სამოქალაქო ლიდერები.

შეხვედრა ორგანიზებული იყო რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბი-ფონდი „აფხაზინტერკონტის“ მიერ, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ.

სამუშაო თათბირი მერიაში

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ალუდა თუთისანმა** სამუშაო თათბირი გამართა.

თათბირს ესწრებოდნენ მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

თათბირზე განიხილეს ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ზოგადი მდგომარეობა, მიმდინარე ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტები, არსებული გამოწვევები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი წინადადებების შერჩევის მიზნით სოფლებში მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრები.

სამუშაო თათბირში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი** და მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**.

დაგეგმილია ფართომასშტაბიანი ღონისძიებები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი** ააიპ „კულტურის ცენტრის“ თანამშრომლებს შეხვდა.

შეხვედრაზე, ცენტრის ხელმძღვანელთან, **დარეჯან საღინაძესთან** და თანამშრომლებთან ერთად განიხილეს 2023 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი, ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა ჩატარდეს, სამუშაო პირობები, სფეროში არსებული გამოწვევები.

შეხვედრას ესწრებოდა განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი **გიორგი კვირიკაშვილი**.

მსგავსი ტიპის შეხვედრებს ხელმძღვანელები სხვადასხვა დაწესებულებებში ეტაპობრივად კვლავ გამართავენ.

გამოთქვეს მზაობა მჭიდრო თანამშრომლობისთვის

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, აშშ-ს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა, 231 352. 42 აშშ დოლარის ღირებულების აღჭურვილობა გადასცა.

ადმინისტრაციამ აღჭურვილობა ჰუმანიტარული დახმარების ჭარბი ქონების პროექტის ფარგლებში მიიღო და ის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებზე, საჭიროებისამებრ, განაწილდება, მისი გამოყენება, აგრეთვე შესაძლებელია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვის პროცესშიც. აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში მათი მხრიდან იგეგმება რეგიონისთვის 1 300 000 აშშ დოლარის სამედიცინო აღჭურვილობის შეძენა.

სახელმწიფო რწმუნებულმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონისთვის, მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ს საელჩოს, აშშ-ს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურს და მის თითოეულ წარმომადგენელს. **პაპუნა მარგველიძემ** განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დახმარებისა და რეგიონში ვიზიტისათვის მაიორ – **დანიელ სეკულას** და გამოთქვა მზაობა სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

პრემიერაზე

ცაგერის გრიგოლ მდივნის სახელობის სახალხო თეატრი მაყურებლის წინაშე მორიგი პრემიერით წარდგა.

გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდა“ გახლავთ ის სპექტაკლი, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ლეჩხუმის საზოგადოებას.

სპექტაკლის რეჟისორია კულტურის ცენტრის დირექტორი **დარეჯან საღინაძე**, პრემიერა მიეძღვნა რეჟისორ **ზურა ძნელაძის** ხსოვნას.

თეატრის გამოცდილ და პროფესიონალ მსახიობებთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მსახიობები, მომავალი თაობა.

ცაგერის თეატრი ყოველთვის ანებივრებს მაყურებელს შეუდარებელი სანახაობით, ასე მოხდა ახლაც – ღიმილით, ცრემლით და უდიდესი ემოციებით გაჯერებული კიდევ ერთი საღამო შედგა.

დასასრულს ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორმა **თამაზ დაუშვილმა** მსახიობებს „თეატრის ამაგდარის“ საპატიო სიგელები გადასცა.

პრემიერას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ლევან ზალკალიანი**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ალუდა თუთისანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მათი მოადგილეები.

მადლობა თეატრის მთელ დასს მათი დაუღალავი შრომისა და საუკეთესო შედეგისათვის.

სტუმრად ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში

საახალწლო ღონისძიება შედგა ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში.

ძალიან საინტერესო სანახაობა შემოგვთავაზეს სკოლის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა. მუსიკალური, მხატვრული კომპოზიციები ერთმანეთს ცვლიდნენ, ასევე, წარმოდგენილი გახლდათ ქორეოგრაფიული ნომრები.

დასასრულს სტუმრებთან ერთად მოსწავლეებს და დამსწრეთ ახალი წელი მიულოცა სკოლის დირექტორმა **ნუნუ კოპალიანმა**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები **მარიკა კოპალიანი** და **გიორგი გუგავა**, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი **ირაკლი სილაგაძე**.

ბავშვებს და სკოლას საჩუქრები გადასცეს მერიამ და საკრებულომ, ქვედა ცაგერის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ნიკა საღინაძემ**, ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელმა **მამუკა ჩიქოვანმა**.

ლამაზი საღამო გვაჩუქეს

ცაგერის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის ორგანიზებით საახალწლო ღონისძიება გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

მაყურებლის წინაშე წარდგნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული სხვადასხვა შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელები მრავალფეროვანი ნომრებით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის

მოადგილე **ლევან ზალკალიანი**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ალუდა თუთისანი**, საკრებულის თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი** მოადგილეებთან ერთად.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა ძალზედ ლამაზი საღამო აჩუქეს სტუმრებს.

ლექცია თემაზე - „ლეჩხუმის ისტორია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის ისტორიულმა მუზეუმმა ეთნოლოგიის დოქტორ **გიორგი მამარდაშვილს** უმასპინძლა, რომელმაც საინტერესო ლექცია წაიკითხა თემაზე „ლეჩხუმის ისტორია“.

მუზეუმმა აგრეთვე გამართა სამუშაო შეხვედრა დირექტორის, **ნატო ზაქარიაძის** ხელმძღვანელობით. შეჯამდა 2022 წელს განხორციელებული საქმიანობა და დაისახა მომავალი წლის გეგმები.

დასასრულს „ნაძვის ხის ზეიმი“ გაიმართა ბავშვებთან ერთად, მუზეუმის თანამშრომლებმა ერთმანეთს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი **გიორგი კვირიკაშვილი**, საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლები.

დასრულდა საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები

დასრულდა სოფელ აღვის საავტომობილო გზის რკინა-ბეტონით მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი.

სრული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 1 279 733 ლარი.

სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს „ფარაონი“.

პროექტი გარდამავალია და 2023 წლის ნოემბერში უნდა დასრულდეს.

განხორციელებული სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ალუდა თუთისანმა**, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **გელა მამარდაშვილმა** და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა.

განიხილეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი – **ალუდა თუთისანი**, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან – **ლევან ზალკალიანთან** ერთად, კონტრაქტორი კომპანიის შ.პ.ს. „ზაისი და კომპანია“-ს (ტექნიკური ზედამხედველობა) წარმომადგენლებს, მერიის შესაბამისი სამსახურების და ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ცაგერის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პროექტების განხორციელების ხარისხსა და ვადების მონიტორინგზე.

სამუშაო შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირებისა და მართვის სამსახურის უფროსი – **ლევან ცხვედიანი** და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი – **გიორგი მახათაძე**.



ქალაქ ცაგერის მოკლე ისტორია

ქალაქი ცაგერი მდებარეობს ცაგერის ქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩრდილოეთიდან მას აკრავს ეგრისის ქედის აღმოსავლეთ ტოტის ბოლო ნაწილი „გველემბრის“ სახელწოდებით. აღმოსავლეთიდან ქალაქს ჩაუვლის მდინარე ცხენისწყალი, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ქალაქს ესაზღვრება სოფლები: ქვედა ცაგერი და გვესო.

ჩვენი მოკვლევით ტოპომნი „ცაგერი“ (სვანურად ეკლნარი) წერილობით წყაროებში მე-9 საუკუნემდე არ იხსენიება.

სოფელ გვესოს (ცაგერიდან ჩრდილო დასავლეთით 1კმ. მანძილზე მდებარე უძველესი სოფელი) ამაღლებულ ბორცვზე არსებულ, მე-9 საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიასთან, საქართველოს საპატრიარქომ, მაღალი ალბათობით, იმავე საუკუნეში დაარსა ცაგერ-სვანეთის საეპისკოპოსო კათედრალი, რომელიც მალე გადმოტანილი იქნა ცაგერის ქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, დღეს არსებულ ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ადგილას, აქედან იხსენიება „ცაგერი“. იმ დროს ცაგერის ქვაბულში მდ. ცხენისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე, მურის კლდეკარებიდან სარეწკელამდე დასახლება არ უნდა ყოფილიყო. ამ ტერიტორიის ნაწილი დაკავებული ჰქონდა საეკლესიო სავარგულებს,დანარჩენი ეჭირა ეკალ-ბარდებს და ჭაობებს. აღნიშნული ტერიტორიის დასახლება დაიწყო გვიან შუასაუკუნეებში.

ლეჩხუმი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, მის ადმინისტრაციულ ცენტრს, ანტიკური პერიოდიდან 1865 წლამდე წარმოადგენდა „სქიომარი“=„ციხნარი“=„მური,“. 1865 წლიდან 1882 წლამდე ლეჩხუმ-სვანეთის მაზრის ცენტრი იყო დაბა ლაილაში. 1882 წლიდან 1930 წლამდე იმავე მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ცაგერია. 1930 წლიდან კი ცაგერის რაიონის ცენტრი ქალაქი ცაგერია. დღეს ქალაქი ცაგერი არის ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი.

რაც შეეხება ცაგერ-სვანეთის (მესტია და ლენტეხი) და დღეს ცაგერ-ლენტეხის საეპისკოპოსო კათედრალს, ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ორი რეგიონის მცხოვრებთა სულიერების და მართლმადიდებლური რწმენის ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის.

მე-9-10-ე საუკუნეებიდან დიდ საქართველოში მხოლოდ 10 საეფისკოფოსო კათედრალი არსებობდა, მათ შორის იყო ცაგერ-სვანეთის, სადაც მძლავრად იყო განვითარებული ხელოვნების დარგები: მხატვრობა და ლითონმქანდაკებლობა. აქვე არსებობდა წინგთსაცავი და სამონასტრო სკოლა. პროფესორი შალვა ამირანაშვილი ნაშრომში „ბექა ოპიზარი“ აღნიშნავს, განვითარებულ შუა საუკუნეებში ცაგერ-სვანეთის კათედრალთან არსებულ სკოლა – სახელოსნოში შეიქმნა ჭედური ხელოვნების ისეთი შედევრები, როგორებიცაა: „ცაგერის ღვთისმშობელი ჩვილით“, „ცაგერის მაცხოვარი“, ლაილაშის „სიმონ მირმქმელი“ და სხვა.

დასახელებული შედევრები დღეს დავანებულია შ. ამირანაშვილის სახელობის თბილისის ხელოვნების მუზეუმის დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის მქონე ოქროს ფონდის ექსპოზიციაში. ე.ი. „ცაგერი“ მე-9, მე-10 საუკუნეებიდან საქვეყნოდ ცნობილი გახდა.

სპეციალისტების მიერ გამორჩეულად დასახელებულია საქვეყნოდ ცნობილი უპრეცედენტო სამუზეუმო ნივთები „ბედიის ოქროს ბარძიმი (მე-10ს)“, „თამარის ჯვარი (მე-12ს)“, „მარტვილის პანაღია“ (მე-10 ს.), „იშხანი“ (მე-11ს.)“ მათ შორის სახელდება „ცაგერის ღვთისმშობელი ჩვილით“ და „ცაგერის მაცხოვარი (მე-10-მე-11სს)“ რომლებმაც საქართველოში საფუძველი დაუდო ლითონმქანდაკებლობის განვითარების შემდგომ საფეხურს, იმ პერიოდში და მის შემდგომ.

ცაგერის საეკლესიო ტაძარში ნაპოვნია მე-11, მე-2, მე-13 სს-ის ხატები, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილს ადგილობრივი ხელოსნებისა და ხატმწერების ნამუშევრებად მიაჩნდა.

განვითარებულ შუა საუკუნეებში (მე-9-10-12 სს.) და მის შემდეგ ცაგერის საეკლესიო კათედრალთან არსებული ლითონმქანდაკებელ სკოლა-სახელოსნოში შექმნილი უმრავლესი ნივთი სპეციალისტების მიერ აღიარებულია შედევრებად და როგორც ზემოთ აღინიშნა მათ ჭედურ და მხატვრულ ხელოვნების ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავთ. ცაგერის კათედრალმა ფართო საგანმანათლებლო მუშაობა წარმართა. აქ კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები დაინერგა. პროფესორი მენაბდე აღნიშნავს „ცაგერის კათედრალს ჰქონდა მდიდარი წიგნთსაცავი, დღემდე მოღწეულია არაერთი საგულისხმო ხელთნაწერი, მათ შორის აღსანიშნავია იოანე ხელაშვილის „სარკე მემხოლისა“, პეტრე მოგილას „აღსარება მართლის“, „მოსახსენებელი 26 იანვრის ქვეშ“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვა. ცნობილნი არიან აქ მოღვაწე გამოჩენილი პიროვნებები: გრიგოლ ცაგერელი, ანტონ ცაგერელი-ჭყონდიდელი, იოანე ცაგერელი, ძე კაცია დადიანის, ნიკოლოზ გაბუნია და სხვა.

აქედან გამომდინარე გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, რომ საერთოდ ლეჩხუმში და კონკრეტულად ცაგერში, განსაკუთრებით განვითარებული შუა საუკუნეებიდან ქრისტიანული სარწმუნოების კერები ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, რაც ცაგერის საამაყო წარსულზე მეტყველებს.

გვიან შუასაუკუნეების ლეჩხუმის საზოგადოებაში მყოფი ინტელიგენცია თავდადებით ზრუნავდა რათა, რეგიონში გახსნილიყო საერო სკოლები სახელმწიფოს ხარჯზე. პირველი საერო დაწყებითი ორკლასიანი სკოლა გაიხსნა ლეჩხუმის მაზრის ცენტრში, დაბა ლაილაშს 1871წელს. მეორე სოფელ დეხვირში 1873 წელს. დაბა ცაგერში ორკლასიანი საერო სკოლა სახელმწიფოს ხარჯზე გაიხსნა 1875 წელს. პირველი მასწავლებლები იყვნენ: ს. ტყეშელაშვილი და ვ. ალხაზაშვილი. სკოლის გახსნის პირველ წელს, ირიცხებოდა 21 მოსწავლე (ყველა ვაჟი). ცაგერის ორკლასიანი დაწყებითი სკოლა 1911 წელს გადაკეთდა ოთხკლასიანად, ხოლო 1915 წელს უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად, რომლის პირველ ინსპექტორ-მასწავლებლად მუჟალის სკოლიდან (მესტიის რაიონი) გადმოიყვანეს ვარლამ ძიძიგური, შემდგომში ცნობილი მეცნიერი. ვ. ძიძიგური იმ დროის დაბა ცაგერს ასე ახასიათებს, – „ცაგერი დაბად ითვლებოდა, სამი-ოთხი უსწორმასწორო ქუჩით, რამდენიმე დუქნით (ფურნე, სამიკიტნო, ფართლის, ბაკალის, უნაგრების, საპარიკმახერო). ყურადღებას იპყრობდა დაბის ცენტრში შემოღობილ ეზოში მდგარი ნაობაღი (საპატიმრო). ცაგერში ცხოვრობდნენ მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე, პოლიციის მოხელეები, ურიადნიკი და სტრაჟნიკები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა, რომ ეს ქვეყანა მსხვილი მოხელეებისა და თავადაზნაურების იყო. თავადაზნაურობის არსებობა ძლიერ იგრძნობოდა ცაგერში. მაზრის გავლენიანი თავადები: დადეშქელიანები, გელოვანები, გარდაფხაძეები... „ბუზმენტებსა“ და „სირმებში“, ჩამჯდარნი დასრიალებდნენ ცაგერში. მათ ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. წვრილ-წვრილი აზნაურები – ჩიქვანები, მდივნები, ჩარკვიანები... საგრძნობლად კუდაბზიკობდნენ“.

საბჭოთაპერიოდში დაბა ცაგერში პირველად დაარსდა ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი ცხრაწლიანი სკოლა, რომელიც ჯერ გადაკეთდა ათწლიანად, შემდეგ 11-წლიან საშუალო სკოლად. ამჟამად აქ არსებობს თორმეტწლიანი საჯარო სკოლა, აგრეთვე არსებობს გიმნაზია. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან 60-80-იან წლებამდე, ჯერ დაბა და შემდეგ ქ. ცაგერში არსებობდა საშუალო სპეციალური სასწავლებლები-პედაგოგიური ტექნიკუმი, აგრონომიული ტექნიკუმი და პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი, აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსიტუტის ფილიალი, რომლებიც სპეციალისტებით უზრუნველყოფდნენ როგორც ცაგერის, ასევე მეზობელი რაიონების კადრებზე მოთხოვნილებას.

დღეისათვის ქალაქ ცაგერში, როგორც ზემოთ ითქვა არსებობს საჯარო სკოლა და გიმნაზია, აგრეთვე მუსიკალური, სამხატვრო და სპორტული სკოლები, ქორეოგრაფიული სტუდია, სპორტული კომპლექსური დარბაზი, კულტურის ცენტრი; ისტორიული, დიდების, გუჯას საოჯახო და განათლების მუზეუმები, სურათების გალერეა. ცაგერ-მურში არსებობს წმ. მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი და სამაგალითო მწვანე თეატრი.

დაბა ცაგერში პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსდა 1902 წელს. ამჟამად არსებობს წიგნადი ფონდით მეტად მდიდარი, კეთილმოწყობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა.

ცაგერის გაზეთის პირველი ნომერი „ბოლშევიკური ტემპის“ სახელწოდებით გამოვიდა 1933 წლის 10 მაისს. გაზეთის პირველი რედაქტორი იმ დროის წესის მიხედვით, ცაგერის რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ანტონ ჩხეტიანი იყო.

ცაგერში თეატრალური დასი მოხალისეებმა შექმნა 1902 წელს. შემდეგ ეს ჩამოყალიბდა საკოლმეურნეო თეატრად. ამჟამად არსებობს ცაგერის სახალხო თეატრი, რომელიც დღესაც აგრძელებს ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას.

ცაგერის ერთ-ერთი ღირსება და მშვენებაა ლადოს სახელობის ბულვარი,რომელიც გასული საუკუნის ცხრაასიან წლებში შექმნა ცაგერის მაზრის მაშინდელმა უფროსმა ე.კ. ენკელმა.

დაბა ცაგერში პირველი ავტომობილი, სოფელ ორბელის მხრიდან შემოვიდა 1927წელს. დაბაში პირველი ელ. სადგური აშენდა და ელ.ნათურამ პირველად გაანათა 1929 წელს.

ცაგერის მოსახლეობის რაოდენობა დღეის მდგომარეობით დაახლოებით სამიათასამდეა. მოსახლეობა ძირითადად შეივსო გასული საუკუნის 50-იან-60-იან წლებში, როდესაც ლეჩხუმში ლაჯანურ-ჰესის მშენებლობა მიმდინარეობდა. აგრეთვე გასული საუკუნის 70-იან-90-იან წლებში სოფლად მეწყრული მოვლენების განვითარების შედეგად მოსახლეობის აყრის გამო.

ცაგერი, რომ ლეჩხუმ-სვანეთის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი გამხდარიყო და ეს ტიტული შენარჩუნებოდა, ამ საქმისათვის თავდადებით იზრუნეს თავადებმა: იასონ გელოვანმა (ლეჩხუმის თავადაზნაურების წინამძღოლი), ტარას ახვლედიანმა (მაზრის პოლოციის უფროსი) და გლეხმა გიორგი საღინაძემ. დასახელებული ჯგუფი 1910-იან წლებში ქ. პეტერბურგში თხოვნით ეახლნენ რუსეთის მეფეს ნიკოლოზ მეორეს. ტანად წარმოსადეგ, ახოვან პირმშვენიერ სამ გოლიათს მეფე ინსტიქტურად ფეხზე დაუდგათ (მეფე ფეხზე უდგება, მხოლოდ მეფეებს და იმპერატორებს). ტარას ახვლედიანმა რუსული ენის ღრმა ცოდნის გამოვლენით და დახვეწილი მჭერმეტყველური საუბრით მოახსენა მეფეს თავისი თხოვნა. დელეგაციის წევრთა „ჯენტლმენური“ თავაზიანობით და ტარასის საუბრით მოხიბლულმა მეფემ, მათი ყველა თხოვნა დააკმაყოფილა, – „ცაგერი“ მაზრის ცენტრად დარჩა. (საკითხი იდგა მაზრის ადმინისტრაციული ცენტრის დაბა ლაილაშის დაბრუნებაზე), დაბა ცაგერში აშენდა ტიპიური სამაგალითო სასკოლო შენობა, რომელიც დღესაც მკვიდრად გამოიყურება და ემსახურება ქ. ცაგერის საჯარო სკოლას. მურში მდ. „ცხენისწყალზე“ გაიდო დიდი ხნის ნანატრი სანიმუშო რკინის ხიდი „მურის ხიდის“ სახელწოდებით.

დაბა ცაგერში და შემდეგ ქალაქ ცაგერის განაშენიანება-გამშვენიერებისათვის დასაწყისიდან დღემდე ზედმეტ-ნაკლებად ყველა პირველმა ხელმძღვანელმა პირმა იზრუნა, მათ შორის გამოირჩევიან და წარუშლელი კვალი დატოვეს მაზრის ყოფილმა უფროსმა ე. ენკელმა, საბჭოთა პერიოდიდან: ანტონ ჩხეტიანმა, რაჟდენ მურცხველაძემ, გიგა ჩაჩხიანმა, მიხეილ გვიშიანმა, კარლო სილაგაძემ, კარლო კვირიკაშვილმა, რამაზ მხეიძემ. ამათგან გაკეთებულის შედეგებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მიხეილ გვიშიანი და რამაზ მხეიძე, რომელთა მენეჯერული (ორგანიზატორული) უნარი, სტილი და მეთოდი თვალსაჩინო შრომისნაყოფიერების შედეგებს იძლეოდა, რითაც დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. თავს უფლებას ვაძლევ მოვუწოდო ცაგერის მუნიციპალიტეტის დღევანდელ და მომავლის ხელმძღვანელებს მაგალითი აიღონ მათგან.

2022 წელი ქალაქ ცაგერისათვის ნამდვილად იყო ნაყოფიერი. საქართველოს მთავრობამ ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტის ცენტრების და მათ შორის ქალაქ ცაგერის გასამშვენიერებლად Სერიოზული კაპიტალ-დაბანდება დაუშვა. უწვეულო სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შენობათა ფასადებს, სახურავებს, ტროტუარებს, ლადო ასათიანის სახელობის ბულვარს. ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება საზოგადოება კმაყოფილია, ლეჩხუმლების სახელით მადლობა ხელმძღვანელობას და არ დავიწყება მათ ვინც ქალაქ ცაგერისათვის იზრუნა და დღეს გარდაცვლილები არიან.

ცაგერი, ეს პატარა ქალაქი დღევანდელი იერსახით, აქ არსებულ შენობათა (გალერეა, საეპისკოპოსო კათედრალი, სპორტიული კომპლექსი, ისტორიული მუზეუმი, კულტურის ცენტრი, მერიის და საკრებულოს შენობები, საბანკეტო დარბაზები, იუსტიციის სახლი, სავაჭრო ცენტრები, პოლიცია და სხვა.) არქიტექტურული ნიმუშებით, ფართო მოვლილი ქუჩებით და ფასადებით, ლადოს სახელობის ბულვარით და კეჭნარის პარკით მართლაც რომ მშვენიერებაა. ახლა საჭიროა ამათი დაცვა და მოვლა-პატრონობა.

***დავით კოპალიანი**, ისტორიული მუზემის თანამშრომელი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ლეჩხუმის საპატიო მოქალაქე*

ეროვნული ბიბლიოთეკა



31 იანვარს თამარ მეფის ხსენების დღე აღინიშნება

გილოცავთ ყველას წმინდა თამარის ხსენების დღეს. მისი მადლი მფარველობდეს სრულიად საქართველოს!

მოდიოდა ნინო მთებით

ანგელოზის წირვა დგება,
როცა დაჰკრავს ნინო ზარსა,
მცხეთის ქალაქს მირონი დუღს,
ირგვლივ გააქვს ნიავქარსა.
იმის მადლი შეგეწიოთ,
რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა.



ლადო ასათიანის დაბადებიდან 106 წელი გავიდა. ლადო - ლეჩხუმის სიამაყე.

აპლოდისმენტები დაიმსახურეს

საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა ცაგერის №1 და №2 საბავშვო ბაღებში.

ტრადიციულად, შთამბეჭდავად მორთულ-მოკაზმულ დარბაზებში პატარებმა ნამდვილი საახალწლო სანახაობა გამართეს ლექსით, სიმღერით, ცეკვით და დამსწრე საზოგადოებისგან დიდი აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

ღონისძიების დასასრულს თავიანთ საბავშვო ბაღებში პატარებს და დამსწრე საზოგადოებას ახალი წელი მიულოცეს ბაღის გამგეებმა **ცარო გუგავამ** და **ლელა კვირიკაშვილმა.**

ღონისძიებებს ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ალუდა თუთისანი**, მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები **მარიკა კოპალიანი** და **გიორგი გუგავა**.

პატარებმა საახალწლო საჩუქრები მიიღეს მერიისა და საკრებულოსგან, ასევე, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტისგან (ხელმძღვანელი **მარინა ბურჯალიანი**).

ამოქმედდა ახალი სოციალური პროგრამა

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წლიდან ახალი სოციალური პროგრამა ამოქმედდა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მასშტაბით აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველ მოქალაქეთა ხელშეწყობას.

დახმარება განისაზღვრა ორ ეტაპად: სასწავლებელში ჩარიცხვის შემთხვევაში და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფულადი წახალისებით.

მსურველს შეუძლია ოთხმოცდაათამდე პროფესიიდან აირჩიოს სასურველი, მათ შორის: სტილისტის, მზარეულის, კონდიტრის, ელექტრიკოსის, მექანიკოსის და სხვა.



სწავლება აღნიშნულ სასწავლებლებში უფასო იქნება, აგრეთვე, სწავლის პერიოდში მოქალაქეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის, დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს.

ნორჩი მკითხველების თვითშემოქმედებით ზეიმზე

ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ საახალწლო ღონისძიებას უმასპინძლა.

ღონისძიებაში ჩართულმა ბავშვებმა, ბიბლიოთეკის მკითხველებმა, თავიანთი შემოქმედებით, მხატვრული თუ მუსიკალური ნომრებით სასიამოვნო ღონისძიება აჩუქეს დამსწრე საზოგადოებას.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სკოლები აქტიურად თანამშრომლობენ ბიბლიოთეკასთან და ერთობლივად ატარებენ მრავალფეროვან ღონისძიებებს, ამჯერად, საახალწლო ზეიმში ჩართული გახლდნენ გიმნაზიის, ცაგერის და ლუხვანოს საჯარო სკოლები. სკოლებთან ურთიერთობის კუთხით დიდ თანადგომას იჩენს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი **ირაკლი სილაგაძე**.

ღონისძიების დასასრულს ბავშვებს და დამსწრეთ ახალი წელი მიულოცეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **ბელა სალინაძემ**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **რევაზ ახვლედიანმა**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა **მარიკა კოპალიანმა** და **გიორგი გუგავამ**.

მერიისა და საკრებულოს სახელით მონაწილე და დამსწრე ბავშვებს საახალწლო ტკბილეული გადაეცათ.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაკური კილაძის მიერ.
მის: ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქ. №186

სარედაქციო კოლეგია:
თამარ დავითულიანი, მზევინარ ძნელაძე,
ეკა ბენდელიანი, ირმა მუშკუდიანი

რედაქციის მისამართია:
ცაგერი, რუსთაველის ქ. №61
ტელ: 551 50 81 50; 598 95 91 11